საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1/536

ქ. თელავი „30" „08" 2017 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო, ერთსაფეხურიან და ქართულ ენაში მომზადების პროგრამებზე 2017-2018 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის გრაფიკისა და საგამოცდო ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N 122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 აგვისტოს საოქმო დადგენილებისა (ოქმი №21) და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შალვა ჭკადუას სამსახურებრივი ბარათის (24/08/2017წ; №976224) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2017-2018 სასწავლო წელი (ბაკალავრიატში/ ერთსაფეხურიან პროგრამებზე/ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე) დაიწყოს 2017 წლის 18 სექტემბერს:

   - **სემესტრების ხანგრძლივობა განისაზღვროს შემდეგი სახით:**

   ა. I სემესტრი დაიწყოს 2017 წლის 18 სექტემბერს და დასრულდეს 2018 წლის 2 თებერვალს ;

   ბ. II სემესტრი დაიწყოს 2018 წლის 12 თებერვალს და დასრულდეს 2018 წლის 22 ივნისს.

გ. პირველი სემესტრის სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2017 წლის 1 სექტემბრიდან;

დ. სტუდენტთა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 2017 წლის 1 სექტემბერს და დასრულდეს 2017 წლის 15 სექტემბერს.

- **სესიები ჩატარდეს შემდეგი გრაფიკით:**

ა. ზამთრის სესიები დაიწყოს 2018 წლის 3 იანვარს და დასრულდეს 2018 წლის 20 იანვარს.

- დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2018 წლის 15 იანვრიდან 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

ბ. ზაფხულის სესიები დაიწყოს 2018 წლის 28 მაისს და დასრულდეს 2018 წლის 8 ივნისს;

- დამატებითი საგამოცდო პერიოდი განისაზღვროს 2018 წლის 8 ივნისიდან 19 ივნისის ჩათვლით;

- ზამთრის არდადეგები დაიწყოს 2018 წლის 5 თებერვლიდან და დასრულდეს 2018 წლის 11 თებერვალს;
- ზაფხულის არდადეგები დაიწყოს 2018 წლის 25 ივნისს და დასრულდეს 2018 წლის 31 აგვისტოს;

2. ლექციის ხანგრძლივობა განისაზღვროს 50 წუთით, შესვენება 10 წუთით;
3. სწავლა დაიწყოს 10:00 საათზე;
4. 2017-2018 სასწავლო წელი დასრულდეს 2018 წლის 22 ივნისს;
5. დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს (ა. ღაღანიძეს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
6. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების გადაგზავნა დაინტერესებული სამსახურებისათვის და ფაკულტეტებისათვის;
7. სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს (ალექსანდრე მოსიაშვილს);
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

უნივერსიტეტის რექტორი: /ირმა შიოშვილი/